განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნანა არაბული, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

თამარ გოდერიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2025

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი წარმოადგენს კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო მიმართულების პროგრამების განხორციელებას ბაკალავრის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეებზე.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შექმნა ექსპერტთა ჯგუფი შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში ვიზიტისათვის, ფართის დამატებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტამდე გაეცნო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ, ასევე ვებ გვერდზე არსებულ მასალებს უნივერსიტეტის შესახებ და გამართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა, პირველადი პოზიციების გასაზიარებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სადაც უნივერსიტეტი ასახავს მის სასწავლო გარემოს, ინფრასტრუქტურას და ადმინისტრაციული რესურსების ძირითად მახასიათებლებს, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა დასკვნა ავტორიზაციის მე-7 სტანდარტთან მიმართებაში. ვიზიტი შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა 2025 წლის 14 ნოემბერს, რომლის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მათ შორის, არსებული ბიბლიოთეკა და ახალი სასწავლო კორპუსი, აუდიტორიები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. ინტერვიუების პროცესი განხორციელდა უნივერსიტეტის მოქმედ კორპუსში (თბილისი, ირინა ენუქიძის №3), სადაც მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ფაკულტეტების დეკანები და პროგრამების ხელმძღვანელები, ასევე, ინფრასტრუქტურისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სამსახურების, ბიბლიოთეკის წარმომადგენლები. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა საჭირო დოკუმენტაცია, რომელთა ანალიზის საფუძველზე, შეამოწმა ავტორიზაციის მე-7 სტანდარტი ფართის დამატების ჭრილში და შეაფასა, თუ როგორ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი ფართის ზრდის პირობებში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიან განხორციელებას.
უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს, აღნიშნულ სასწავლო ფართში, რომლის დამატებასაც გეგმავს უნივერსიტეტი, მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. უფრო დეტალურად, კი, უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ფართის დამატების თაობაზე განცხადება შეიტანა, თუმცა წარმოების დაწყებას არ დაელოდა და მიმდინარე წლის სექტემბრიდან ახალი ფართის გამოყენებით დაიწყო სასწავლო პროცესის განხორციელება. წარმოდგენილ დასკვნაზე არსებით შეფასებას ახდენს არსებული მდგომარეობა.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ადასტურებს, რომ ინსტიტუციამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და წარმოადგინა განმარტებები არსებული გარემოებების შესახებ. უნივერსიტეტი აღიარებს რეკომენდაციებში მითითებულ პროცედურულ ხარვეზს ერთჯერად შემთხვევად, არ განიხილავს ინსტიტუციურ პრაქტიკად და გამოხატავს მზაობას რეკომენდაციების გამოყენებაზე, როგორც ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ინსტრუმენტზე. წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე, ექსპერტის დასკვნა რჩება უცვლელი, ხოლო რეკომენდაციები შენარჩუნებულია შემდგომი განვითარების და მონიტორინგის მიზნით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მე-7 სტანდარტი: მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

7.1. მატერიალური რესურსი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს თბილისში აქვს საკუთრებაში ახალი სასწავლო კორპუსი, რომელიც აღჭურვილია აუდიტორიებით, სემინარული და დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის სპეციალურად მოწყობილი ოთახებით, ჭკვიანი დაფებით, ინტერნეტით და შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურით; სასწავლო კორპუსის სარეკრეაციო სივრცეები არ არის საკმარისი სტუდენტთა იმ რაოდენობაზე, რასაც გეგმავს ინსტიტუცია. წარმოდგენილია ფართისა და უსაფრთხოების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მიუხედავად აღნიშნულისა, ახალი სასწავლო სივრცის ათვისება დაიწყებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, რაც არღვევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ-ის მუხლი 87-ის მოთხოვნას.

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მოქმედი ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის წვდომას საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსებზე, მათ შორის საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე მედიცინის მიმართულებით.

7.3. საინფორმაციო რესურსი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს აქვს ჩამოყალიბებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებას, ასევე წვდომას მონაცემთა ბაზებზე, უზრუნველყოფილი აქვს სარეზერვო ინტერნეტ არხი. სასწავლო სივრცეები აღჭურვილია ჭკვიანი დაფებითა და უწყვეტი ინტერნეტით, ვებგვერდი ფუნქციონირებს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

7.4. ფინანსური რესურსი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ფინანსური რესურსები ადასტურებს უნივერსიტეტის ფინანსურ სტაბილურობას, რაც განპირობებულია შემოსავლების ზრდის ტენდენციით, დაფინანსების წყაროებითა და აუდიტის პოზიტიური შეფასებებით. სტუდენტთა რაოდენობის ზრდა და ბიუჯეტის მატება ქმნის იმის ფინანსურ საფუძველს, ხოლო სტრატეგიული და ინფრასტრუქტურული განვითარების ღონისძიებები უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებით. ფინანსური მართვის სისტემა უნივერსიტეტს შესაძლებლობას აძლევს, განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, ინსტიტუციამ მკაცრად დაიცვას საკანონმდებლო მოთხოვნები და არ დაიწყოს სასწავლო პროცესის განხორციელება ახალ სივრცეში მანამ, სანამ აღნიშნული სივრცის გამოყენების უფლება ოფიციალურად არ მიენიჭება.

- საჭიროა სარეკრეაციო სივრცეების და გასახდელი ზონების გაფართოება და/ან სტუდენტთა ნაკადების რეგულირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა რაოდენობასთან შესაბამისი სათანადო ინფრასტრუქტურა.

რჩევები

- სასურველია ბიბლიოთეკის ახალი ლიტერატურით აღჭურვა სასწავლო ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, თუმცა დასკვნა რჩება უცვლელი.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐

6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ნანა არაბული (წევრი)
3. თამარ გოდერიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ახორციელებს თბილისში და ბათუმში მდებარე 5 კორპუსში, რომელთაგან ნაწილი სრულ საკუთრებაში, ნაწილი კი წილობრივ მფლობელობაში აქვს. არსებული ინფრასტრუქტურა მოიცავს ცენტრალურ კამპუსს, კლინიკურ და სასწავლო-ლაბორატორიულ ცენტრებს, სტუდენტურ საცხოვრებელსა და საუნივერსიტეტო კლინიკას, სადაც განთავსებულია შესაბამისი სასწავლო და დამხმარე სივრცეები. უნივერსიტეტს 2021 წლიდან საკუთრებაში აქვს შარტავას ქუჩაზე მდებარე 724.8 მ² ფართი, აქედან 528.6 მ² ფართი განკუთვნილია სასწავლო და პრაქტიკული აქტივობებისთვის, ხოლო დანარჩენი – დამხმარე ინფრასტრუქტურად არის გათვალისწინებული. აღნიშნული კორპუსი აღჭურვილია, დიპლომირებული მედიკოსისა და სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის საჭირო აუდიტორიებითა და	

ოთახებით. სპეციალურად მოწყობილი ოთახებით, სწავლის პროცესისთვის წარმოდგენილია სათანადო ინვენტარი - ჭკვიანი დაფები, მულიაჟები, სტამატოლოგიური სავარძლები, ინტერნეტი და შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ, განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესისთვის ახლად გამოყენებული სივრცის დათვალიერება. ექსპერტთა ვიზიტის დროს, აღნიშნულ ფართში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. აღსანიშნავია, რომ ამა წლის სექტემბრიდან აღნიშნულ ზონაში სწავლის პროცესი დაიწყო მანამ, სანამ განხორციელდებოდა განათლების ხარისხის ცენტრის წარმომადგენლების მხრიდან ინსტიტუციის აღნიშნულ სივრცეში ვიზიტი და შეფასება. არსებული ფაქტი ინსტიტუციამ ახსნა იმით, რომ წარმოდგენილი სივრცის ათვისება განაპირობა უკვე არსებული სტუდენტების რიცხვმა და დამატებით სტუდენტების მიღება ამჯერად არ იგეგმება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ-ის მუხლი 87-ის თანახმად, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცვლის მისამართს ან სასწავლო სივრცეს, ის ვალდებულია ცენტრს 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს. თუ სივრცის შეცვლა გადაუდებელი აუცილებლობით მოხდა, შეტყობინება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ და უნდა მიეწოდოს დოკუმენტი, რომელიც ამ ყველაფერს ადასტურებს, რაც შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის შემთხვევაში, ასე არ მომხდარა. შეფასების პროცესის შედეგად დადგინდა, რომ ინსტიტუციამ ახალი სასწავლო სივრცის ათვისება დაიწყო წინასწარი შეტყობინების გარეშე, რაც არღვევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ-ის მუხლი 87-ის მოთხოვნას.

უნივერსიტეტის ახალი ფართი უზრუნველყოფილია სასწავლო გარემოსათვის აუცილებელი პირობებით: სათანადო სანიტარიული კვანძებით, ბუნებრივი განათებით და ცენტრალური გათბობის სისტემით. ასევე დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტები, ისევე, როგორც გარემო სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. წარმოდგენილია ფართისა და უსაფრთხოების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, ფართი გათვლილია დაახლოებით 250 სტუდენტზე, თუმცა ვიზიტის დროს გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეზღუდვები სივრცის ტევადობისა და ფუნქციური განაწილების მიმართულებით. კონკრეტულად, სარეკრეაციო სივრცე არასაკმარისი მოცულობისაა და არსებულს პრაქტიკულად არ აქვს პოტენციალი კომფორტულად დაიტიოს სტუდენტთა რაოდენობა (250 სტუდენტი). ანალოგიურად, გასახდელი ოთახებისთვის გამოყოფილი ფართობი არის საკმაოდ პატარა, რის გამოც ვერ უზრუნველყოფს ზემოთნახსენები რაოდენობის სტუდენტთა მიერ მათ პარალელურ და კომფორტულ მოხმარებას.

აღნიშნული გარემოებები აჩენს ეჭვს, რომ არსებული სივრცითი გადაწყვეტა, გადანაწილებისა და მათი თანაბარი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სრულად ვერ პასუხობს განცხადებულ სტუდენტთა ნაკადების დასვენების, დამოუკიდებლად მუშაობის სივრცის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ოთახები ტექნიკურად დამაკმაყოფილებლად არის აღჭურვილი, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის ფართი შესაცვლელია/გაძლიერებელია, რათა მომავალში უზრუნველყოფილი იყოს როგორც სტუდენტთა უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის მისაღები გარემო, ისე სასწავლო პროცესის ორგანიზების ოპტიმალური პირობები.

ამ კონტექსტში, უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს მითითებულ ფართში სტუდენტთა დასაშვებ მაქსიმალურ რაოდენობას, განიხილოს სარეკრეაციო და გასახდელი სივრცეების გაზრდის, ან/და სტუდენტთა ნაკადების ეტაპობრივი განაწილების შესაძლებლობები, რათა უზრუნველყოფილი იყოს 7-ე სტანდარტით მოთხოვნილი მატერიალური რესურსის შესაბამისობა ისე, რომ სტუდენტზე

ორიენტირებული, უსაფრთხო და კომფორტული საგანმანათლებლო გარემოს პრინციპი იქნეს დაცული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უძრავ-მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- პერსონალისა და სტუდენტთა დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები;
- ფართის დათვალიერების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ინსტიტუციამ მკაცრად დაიცვას საკანონმდებლო მოთხოვნები და არ დაიწყოს სასწავლო პროცესის განხორციელება ახალ სივრცეში მანამ, სანამ აღნიშნული სივრცის გამოყენების უფლება ოფიციალურად არ მიენიჭება.
- საჭიროა სარეკრეაციო სივრცეების და გასახდელი ზონების გაფართოება და/ან სტუდენტთა ნაკადების რეგულირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა რაოდენობასთან შესაბამისი სათანადო ინფრასტრუქტურა.

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში მოქმედი ბიბლიოთეკა განთავსებულია ძირითად კორპუსში. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სივრცე და შეაფასა მისი ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და ფუნქციონირება. ბიბლიოთეკა მოიცავს როგორც წიგნსაცავს, ასევე სამკითხველო დარბაზს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის შესაბამის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლიტერატურაზე წვდომას. ლიტერატურა განთავსებულია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით. სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს ასევე აქვთ შესაძლებლობა, უნივერსიტეტის მეილით განახორციელონ წვდომა

ბიბლიოთეკის ელექტრონულ ლიტერატურაზე და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე. ბიბლიოთეკის თანამშრომლები სემესტრში ორჯერ ატარებენ ტრენინგებს სტუდენტებისთვის „საბიბლიოთეკო საათი“.

ბიბლიოთეკის სივრცეში განთავსებულია 10 კომპიუტერი (ლეპტოპი), პრინტერი. სტუდენტებს საშუალება აქვთ შეუფერხებლად ისარგებლონ ინტერნეტით.

ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან ვერ მოხერხდა, რადგან საგანამანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებთან ექსპერტებს არ ჰქოდათ წვდომა. თუმცა, ვიზიტის დროს მათ დაათვალიერეს საბიბლიოთეკო სივრცე. ასევე გადამოწმდა მედიცინის მიმართულებით რამდენიმე წიგნის არსებობა ბაზაში. დაფიქსირდა, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ლიტერატურის ნაწილი მოძველებული იყო, თუმცა მათ შორის მოიძებნა კლასიკური გამოცემებიც, რომლებიც წარმოადგენს დარგში მნიშვნელოვანი თეორიული საფუძვლების წყაროს. ასევე გამოიკვეთა ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რომელიც აშკარად საჭიროებდა განახლებას. აღნიშნულ საკითხზე ინსტიტუციამ დროული რეაგირება მოახდინა და დამატებით წარმოადგინა განახლებული სასწავლო მასალები (ჰენდაუთები). სასწავლო პროცესის ხარისხის კიდევ უფრო ასამაღლებლად მიზანშეწონილია ბიბლიოთეკის ლიტერატურის რეგულარული განახლება თანამედროვე გამოცემებით, განსაკუთრებით იმ დისციპლინებში, სადაც ცოდნა დინამიკურად ვითარდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- დათვალიერების შედეგები;
- სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

- სასურველია ბიბლიოთეკის ახალი ლიტერატურით აღჭურვა სასწავლო ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას და პროცედურებს, ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს, თანამშრომლების უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, აწესრიგებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: კომპიუტერული ქსელების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემის, დოკუმენტბრუნვის სისტემის, ინფორმაციული და ფიზიკური უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვა.

დაწესებულებას დანერგილი აქვს ელექტრონული მართვის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტურობას, ეფექტიანობასა და ხელმისაწვდომობას. სასწავლო პროცესის სამართავად გამოიყენება სისტემა „ნექსუსი“. ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მასში ინტეგრირებულია ინფორმაცია პროგრამების, სასწავლო კურსების, სილაბუსების, ლექტორების, სასწავლო მასალებისა და დავალებების, სტუდენტის ფინანსური მდგომარეობის, აკადემიური მიღწევების შესახებ და სხვა. ნექსუსით ხდება სტუდენტთა გამოკითხვაც.

უნივერსიტეტს გააჩნია საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა “Docflow”, შიდა და გარე დოკუმენტებთან მუშაობის სრული ციკლის ავტომატიზაცისთვის. პლატფორმაზე პერიოდული განახლებები ხორციელდება უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ.

უსდ-ს ოფიციალური ვებ გვერდი (https://gruni.edu.ge/) მუშაობს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. მისი ადმინისტრირების წესი განსაზღვრულია დოკუმენტში „ვებგვერდის ადმინისტრირების წესი და სამუშაო აღწერილობა”. უნივერსიტეტს გააჩნია ვებგვერდის უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი SSL სერტიფიკატი. უნივერსიტეტის ვებ გვერდი შეიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის, სტრუქტურული ორგანოების, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის, ყველა ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტის და სხვა შესახებ. ვებგვერდი წარმოადგენს გადამწყვეტ საკომუნიკაციო ინსტრუმენტს როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეებისათვის, რაც ასახავს უნივერსიტეტის ძალისხმევას გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობისადმი.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ფართის დათვალიერება. სალექციო/სასემინარო ოთახები აღჭურვილია ჭკვიანი დაფებით და უწყვეტი ინტერნეტით (პროვაიდერი „გრენა“). უნივერსიტეტს ასევე უზრუნველყოფილი აქვს სარეზერვო ინტერნეტ არხი „გლობალ ერთი“-ს საშუალებით. ინტერნეტი უზრუნველყოფილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, გამოყენებასთან და გამჟღავნებასთან დაკავშირებული კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელიც იმართება Free Privacy Policy–ს საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა;
- ვებგვერდის ადმინისტრირების წესი და სამუშაო აღწერილობა;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://gruni.edu.ge/;
- სწავლების მართვის სისტემა https://sgruni.ini.ge;
- დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის 2022–2024 წლების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისა და მიმდინარე ბიუჯეტური გეგმების საფუძველზე, ჩანს, რომ უნივერსიტეტი მიზანმიმართულა მართავს ფინანსურ რესურსებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ყოველწლიურად ფორმირდება, რასაც ხელს უწყობს როგორც სტუდენტთა რაოდენობის მზარდ ტენდენცია, ისე მრავალწყაროიანი შემოსავლის მოდელი. 2019 წელთან შედარებით, უნივერსიტეტის ბიუჯეტი 2023 წელს თითქმის სამჯერ გაიზარდა, ხოლო მომდევნო წლების ბიუჯეტები – 2024, 2025– წარმოდგენილია ეკონომიკურად მიღწევადი და იმ გათვლებითი, რაც მეტყველებს სწორ ფინანსურ დაგეგმვაზე.

შემოსავლების ძირითადი ნაწილი მოდის სწავლის გადასახადებზე, თუმცა უნივერსიტეტს აქვს დამატებითი შემოსავლის წყაროებიც: სხვადასხვა ფონდების დაფინანსება, კლინიკურ და სატრენინგო მომსახურებებზე მიღებული შემოსავლები, წილობრივი მონაწილეობით მიღებული მოგება და სხვა კომერციული აქტივობები. ეს მრავალფეროვნება ამცირებს ფინანსურ რისკებს და ქმნის მდგრად ფინანსურ მდგომარეობას. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2022-2024 წლების აუდიტის დასკვნები. აუდიტის ანგარიშებში არ იდენტიფიცირება ისეთი დარღვევები ან ხარვეზები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიდა უნივერსიტეტის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტის სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ რესურსები მიმართულია უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის – სწავლებისა და კვლევის – უზრუნველსაყოფად. პროფესორ-მასწავლებელთა ანაზღაურება, სასწავლო-ტექნიკური ბაზის განახლება, კლინიკური და სიმულაციური ლაბორატორიების უზრუნველყოფა, საერთაშორისო მობილობა, სტუდენტთა მხარდაჭერა და კვლევითი საქმიანობა წარმოადგენს ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს. სამეცნიერო კვლევების დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება; 2024 წელს კვლევებისთვის გამოყოფილი თანხა 2019 წელთან შედარებით ექვსჯერაა გაზრდილი. იგივე ტენდენცია შეინიშნება ბიბლიოთეკის განვითარების მიმართულებითაც, სადაც უნივერსიტეტი არა მხოლოდ განაახლებს შეძენილ რესურსებს, არამედ გეგმავს ახალი, თანამედროვე ბიბლიოთეკის შენობის აშენებასაც.

ფინანსური მართვისა და ანგარიშვალდებულების სისტემების მხრივ, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შიდა აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმები. წლიური ფინანსური ანგარიშგებები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- 2024-2025 წლების ბიუჯეტი;
- აუდიტის დასკვნები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან